

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კუმანთარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის  
V სამეცნიერო კონფერენცია:

„საქართველო და შორეული აღმოსავლეთის სამყარო:  
ისტორია, თანამედროვეობა და სამომავლო პერსპექტივები“



პ რ ო გ რ ა მ ა

2-3 დეკემბერი  
თბილისი 2019



ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

**შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობის  
V სამეცნიერო კონფერენცია:**

**„საქართველო და შორეული აღმოსავლეთის სამყარო:  
ისტორია, თანამედროვეობა და სამომავლო  
პერსპექტივები“**

**პ რ ო ბ რ ა მ ა**

2-3 დეკემბერი

თბილისი 2019

## **კონფერენციის პროგრამა**

**ორშაბათი, 2 დეკემბერი**

კონფერენციის გახსნა

თსუ | კორპუსი, აუდიტორია #202

10:30 კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია

11:00 კონფერენციის გახსნა

**ნანა გაფრინდაშვილი**-თსუ პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

**ნანა გელაშვილი**- თსუ პროფესორი , „შორეული აღმოსვლეთის რეგიონმცოდნეობის“ მიმართულების ხელმძღვანელი

### **მისალმებები**

რეგლამენტი

მოხსენება- 12 წუთი

დისკუსია მოხსენების ბოლოს - 5 წუთი

12:00-14:30

პლენარული სხდომა

2 დეკემბერი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია #202

სხდომის თავმჯდომარე - ნანა გელაშვილი

**სოფიო გუგუნავა**

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

**მედიაცია იაპონიაში როგორც დავის ალტერნატიული  
გადაწყვეტის გზა**

**ნინო ბრეგვაძე**

რომის ბიზნეს-სკოლა, მაგისტრი

**სასოფლო რეფორმები სოფლის მეურნეობასა და  
საგარეო ვაჭრობაში 1978-2014 წლების ჩინეთში**

**მარინე ლუღუშაური**

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**სამხრეთ კორეის განვითარების თავისებურებები**

**ლეილა(ია) ხუბაშვილი**

თსუ ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი

**იაპონიის პანაზიური დოქტრინა XX საუკუნის 30-იან  
წლებში .ტანაკას მემორანდუმი.**

შესვენება - 14:00- 14:30

პლენარული სხდომა

სხდომის თავმჯდომარე - თათია მემარნიშვილი

**ნანა გელაშვილი**

თსუ ასოცირებული პროფესორი

**იაპონური უძველესი რწმენა-წარმოდგენების  
სათავეებთან**

**მარინე ჯიბლაძე**

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ,ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი

**ჩინეთი და სამხრეთ კავკასია**

**ნატალი ბიძინაშვილი**

ლიონის უნივერსიტეტი, მაგისტრი

**ჰაიაში კიოკოს პროტაგონისტები ცივილური და  
სამხედრო ნუკლეური პრობლემის წინააღმდეგ**

**ნათია დემურიშვილი**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ისტორიის დოქტორი

**ჩინური ფაიფური ირანის სამეფო კოლექციებიდან**

პლენარული სხდომა

სამშაბათი, 3 დეკემბერი, 11:00

თსუ V კორპუსი, აუდიტორია 306 სხდომის

თავმჯდომარე - ანა გოგუაძე

**მარინა ფუთურიძე**

თსუ ასოცირებული პროფესორი

**ქ. კიოტოს საერთაშორისო კონგრესი და პირველი  
შეხება იაპონურ კულტურულ ტრადიციასთან**

**მარია მშვილდაძე**

თსუ ასოცირებული პროფესორი

**რომი და ინდოეთი ახ.წ. I-IV საუკუნეებში**

**სალომე სუხიაშვილი**

თსუ დოქტორანტი

**„სხვა სამყარო“ იაპონურ და კავკასიურ ფოლკლორში**

**თეა გოგოლიშვილი**

თსუ დოქტორანტი

**ჩინური ქრისტიანობის ისტორიის ერთი კონკრეტული  
ასპექტი**

**თათია მემარნიშვილი**

თსუ იაპონური ენის ლექტორი

**თანამედროვე მეთოდები იაპონური ენის სწავლებაში**

შესვენება - 14:00-14:30

პლენარული სხდომა

სხდომის თავმჯდომარე - ნანა გელაშვილი

**თამაზ რურუა**

იაპონისტი

**იაპონური სუმოს ფენომენი**

**იზოლდა ბელთაძე**

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ოსტ-ინდოეთის კომპანიის როლი ინგლისის**

**საგარეო ვაჭრობის განვითარებაში ( XVI-XVII)**

**ანა გოგუაძე**

თსუ ჩინური ენის ლექტორი

**იდიომატური გამოთქმების თარგმნა ჩინურიდან**

**ქართულ ენაზე**

**ელენე გეგშიძე**

თსუ ისრაელის ცენტრის მეცნიერ-მკვლევარი,

კულტუროლოგიის დოქტორი

**იუდაიზმი და საქართველო**



Ivane Javakishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Institute of Oriental Studies

V Scientific Conference

“Georgia and the Far East World: History, Modernity and  
New Prospects”



## **PROGRAM**

December 2-3  
Tbilisi 2019

## **Conference Program**

**Monday, December 2**

Opening of the Conference

TSU building I, room № 202

10:30 Registration

11:00 Opening Ceremony

**Nana Gaprindashvili** – TSU Professor, Dean of the Faculty of Humanities

**Nana Gelashvili** – TSU Professor, Head of the Direction of “Far East Regional Studies”

Greetings

### **Time Limit:**

Presentation- 12 minutes

Discussion – 5 minutes

12:00 – 14:30

Plenary Session

Monday, December 2, TSU building I, room № 202

Chair – Nana Gelashvili

**Sopio Gugunava**

TSU lecturer, PhD in Social Sciences

**Mediation in Japan as an Alternative Dispute Resolution**

**Nino Bregvadze**

Rome Business School, MA

**Reforms in the Rural Economy and Foreign Trade from  
1978 to 2014 in China**

**Marine Ghudushauri**

TSU, Doctor of Economics

**The Peculiarities of South Korea's Economic  
Development**

**Ia (Leila) Khubasvili**

TSU Associate Professor, Doctor of Historical Sciences

**Pan-Asiatic Doctrine of Japan in the 1930s of XX  
Century. Tanaka Memorial.**

Break

14:30 – 14:30

Plenary Session

Chair – Tatia Memarnishvili

**Nana Gelashvili**

TSU Associate Professor

**At the Origins of Japanese Ancient Beliefs**

**Marine Jibladze**

Free University of Tbilisi, PhD in Chinese Philology

**China and South Caucasus**

**Natali Bidzinashvili**

University of Lyon, MA

**Hayashi Kyoko and her Protagonists Against Civil and  
Military Nuclear Problem**

**Natia Demurishvili**

The Georgian National Museum, PhD in History

**Chinese Porcelain from Iranian Royal Collections**

11:00 – 14:00

Plenary Session

Tuesday, December 3, TSU building V , room № 306

Chair – Ana Gogvadze

**Marina Puturidze**

TSU Associate Professor

**Kyoto International Congress and the First  
Acquaintance with Japanese Cultural  
Traditions**

**Marika Mshvildadze**

TSU Associate Professor

**Rome and India in I-IV Centuries**

**Salome Sukhiashvili**

PhD student

**“The Other World” in Japanese and Caucasian Folklore**

**Tea Gogolishvili**

PhD student, Medieval Studies

**One Particular Aspect of the History of Chinese  
Christianity**

**Tatia Memarnishvili**

TSU, Japanese language lecturer

**Newest Methods in Teaching the Japanese Language**

Break 14:00-14:30

Plenary Session

Chair – Nana Gelashvili

**Izolda Beltadze**

Batumi State University, Associate Professor

**The Role of the Ost-Indian Company in the Development  
of Foreign Trade in England**

**Tamaz Rurua**

Japanese language specialist

**Japanese Sumo Phenomenon**

**Ana Gogvadze**

TSU, Chinese language lecturer

**Translating Idiomatic Expressions from Chinese into Georgian**

**Elene Gegeshidze**

Scientific Researcher of TSU Israeli Center, Doctor of

Culturology

**Judaism and Georgia**





## იზოლდა ბელთაძე

### ოსტინდოეთის კომპანიის როლი ინგლისის საგარეო ვაჭრობის განვითარებაში ( XVI-XVII)

XVI-XVII საუკუნეების ინგლისში კაპიტალისტთა ინტერესებში შედიოდა ნედლეულის მდიდარი რესურსების ხელში ჩაგდების საკითხი. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა საპაიო (აქციონერული) კომპანიების შექმნა.

ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ ოსტინდოეთის კომპანიის როლი ინგლისის საგარეო ვაჭრობის განვითარებაში.

კონტინენტურ ვაჭრობაში თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიამ. მაგრამ, როდესაც ინგლისის სახელმწიფოს დღის წესრიგში დადგა ახალი ნედლეულის წყაროებისა და ინგლისური მაუდის გასაღების ბაზრების მოძიება შორეულ, ოკეანის იქითა ქვეყნებში, საჭირო გახდა დიდძალი კაპიტალის დაბანდება, რომელიც განხორციელდა საპაიო (საწილო) კომპანიის შექმნის გზით. სწორედ საპაიო კომპანიებმა (მოსკოვის, აღმოსავლეთის, ლევანტის, ოსტინდოეთისა და ა. შ.) ინგლისი დააკავშირეს მსხვილ ქვეყნებთან. ოსტინდოეთის კომპანიამ კი ინგლისი დააკავშირა ინდოეთთან. ამ კომპანიის წყალობით ინგლისში შემოვიდა აბრეშუმის, ბამბის ნედლეული, რამაც ხელი შეუწყო არა მარტო ტრადიციული, არამედ ახალი სამრეწველო დარგების განვითარებას.

საპაიო კომპანიის საქმეებს განაგებდა დირექტორთა საბჭო. კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ, ძირითადად, ლონდონელი ვაჭრები. გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყვნენ პროვინციელი ვაჭრები.

საპაიო კომპანიებს შორის სიმდიდრით გამოირჩეოდა ოსტინდოეთის კომპანია (დაარსდა 1600 წ.), რომლის მთავარი პრინციპი იყო საქონლის არაეკვივალენტური გაცვლა, რაც გულისხმობდა დიდი მოგების მისაღებად ინდოეთში საქონლის შესყიდვას იაფად და კონტინენტზე ძვირად მის გაყიდვას.

მაგალითად, ინგლისელები ინდოეთში 1 ფუნტ პილპილს ყიდულობდნენ 3 პენსად, ხოლო ინგლისში ყიდდნენ 8 შილინგად და 6 პენსად.

ამრიგად, XVI-XVII საუკუნეებში ინგლისში განვითარდა საგარეო ვაჭრობა. მას სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთთან, ესპანეთთან, პორტუგალიასთან, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან, ბალტიისპირეთთან, ჩრდილო აფრიკასთან, სირიასთან, მცირე აზიასთან, ოსტინდოეთთან, ვესტინდოეთთან, ბრაზილიასთან, კანარის კუნძულებთან, მადეირასთან, აზორის კუნძულებთან.

## **ნატალი ბიძინაშვილი**

### **ჰაიაში კიოკოს პროტაგონისტები ცივილური და სამხედრო ნუკლეური პრობლემის წინააღმდეგ**

მოხსენების, რომლის სათაურია „ჰაიაში კიოკო და „სიკვდილის რიტუალისა“ და „საფლავის ორი ქვის“ პროტაგონისტები ცივილური და სამხედრო ნუკლეური პრობლემის წინააღმდეგ“, შესავალში განვიხილავთ მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარ ჰიროსიმისა და ნაგასაკის ატომური დაბომბვის დეტალებს: თუ სად იყო ჩაფიქრებული თავდაპირველად ბომბის ჩამოვარდნა, სად განხორციელდა, რამდენი ადამიანი ემსხვერპლა მათ და რა სამომავლო დაავადებები და პრობლემები მოჰყვა ამ ყველაფერს. მოხსენება გაგრძელდება ცენზურის ქვეშ დაწერილ ატომური ბომბის ლიტერატურაზე, რომელიც ოკუპირებულ იაპონიაში იწერებოდა. აგრეთვე, მიმოვიხილავთ, თუ როგორი სირთულეების გავლა უწევდათ ატომური ბომბის ლიტერატურის მწერლებს, რათა გამოექვეყნებინათ თავიანთი ნაშუქვრები და ეცნოთ ხალხისთვის ის „დამალული“ ინფორმაცია და დეტალები, რომლებსაც სახელმწიფო ბოლომდე არ ამჟღავნებდა. ამასთანავე, შევხებით ჰიბაკუსების წუხილს მომავალ თაობებთან დაკავშირებით და მათ პოლიტი-

კურ მესიჯებს, რომელთა განხილვაც მიგვიყვანს ჩვენ მიერ არჩეულ მწერალ ჰაიაში კიოკოსთან. ჰაიაში კიოკოს ბიოგრაფიის, ცხოვრებისეული მნიშვნელოვანი დეტალებისა და მწერლობის განხილვის შემდეგ წარმოგიდგენთ არჩეულ ნაწარმოებებს: „სიკვდილის რიტუალს“ და „საფლავის ორ ქვას“, მათ შინაარსს, პერსონაჟებსა და პროტაგონისტების შიშსა და ბრაზს. ჰაიაში კიოკოს ნაწარმოებებით ვიხილავთ, თუ როგორ დაანგრის „სიჩუმის კედელი“ მისმა ნამყვანმა პერსონაჟებმა, როგორ პირნათლად, აღსარებასავით გვიჩვენეს ატომური ბომბის მსხვერპლის მრავალი მხარე – გადარჩენილი ჰიბაკუსების როგორც ნუხილი და სევდა, ასევე მათი ბრაზი გარშემომყოფების, ოჯახისა და მეგობრების მიმართ, რომლებიც ვერ იზიარებდნენ მათ გამოცდილებას. მოხსენებას დავასრულებთ სხვადასხვა კრიტიკოსისა თუ მწერლის აზრებით, როგორც ჰაიაშის ლიტერატურასთან დაკავშირებით, აგრეთვე მათი სამომავლო ხედვების მიმოხილვით – თუ როგორ წარმოედგინათ მომავალ თაობათა გზა და განვითარება.

## ნინო ბრეგვაძე

### სასოფლო რეფორმები სოფლის მეურნეობასა და საგარეო ვაჭრობაში 1978-2014 წლების ჩინეთში

1980-იანი წლების დასაწყისში, ჩინეთში ეკონომიკური რეფორმების სანყის ეტაპზე, მსოფლიოსთვის საეჭვო იყო ქვეყნის წინსვლა, თუმცა შემდეგ აღფრთოვანებული აკვირდებოდა მისი ეკონომიკის დაჩქარებულ წინსვლას. ჩინეთმა გლობალური ეკონომიკური ქვეყნის პოზიციონირება დაიწყო. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა, ძირითადად, წარმოებაზე დაყრდნობით, 8-9%-ს მიაღწია (2003 წელს 9% და 2002 წელს 8,5%). ჩინეთი სწრაფად განვითარდა საკუთარი დანაზოგების ხარჯზე, შექმნა ახალი საწარმოები და შეძლო საჭირო ცოდნის

მოზიდვა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხარჯზე. 2003 წელს ქვეყანამ მიიღო 53 მილიარდი აშშ-ის დოლარის უცხოური ინვესტიცია, რაც იყო პირდაპირი ინვესტიციის მთლიანი მოცულობის 8,2%, რაც გახლდათ მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

1978 წელს დენ სიაოპინმა დაიწყო პოლიტიკური რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო მსოფლიოსთან საზღვრების გახსნისკენ, სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის მშენებლობისა და „მცირე კეთილდღეობის“ საზოგადოების შექმნისაკენ. ეკონომიკურ სექტორთა უმრავლესობაში შემცირდა მთავრობის როლი, გაიზარდა კერძო სექტორის როლი. დენ სიაოპინმა დაიწყო საერთაშორისო ვაჭრობა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამ მოვლენებმა მოსახლეობის უმეტესობის ცხოვრების დონის ამაღლება გამოიწვია და საფუძველი დაუდო შესაძლო მნიშვნელოვან რეფორმებს მომავალში.

მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი, რამაც გამოიწვია ჩინეთის ეკონომიკის წინსვლა, იყო იაფი მუშა-ხელი და ჩინურ საქონელზე დაბალი ღირებულება. გამომდინარე აქედან, სოფელი რჩებოდა გლობალური ბაზრისთვის იაფი მუშა-ხელის მთავარ მიმწოდებლად.

## **ნანა გელაშვილი**

### **იაპონური უძველესი რწმენა-წარმოდგენების სათავეებთან**

საუკუნეთა განმავლობაში, ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, იაპონიის არქიპელაგზე ცალკეულ ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებებსა და კონფესიებს ერთმანეთისაგან განსხვავებული სტატუსი ჰქონდათ. მათ შორის უძველესი და უმთავრესია შინტოიზმი (იაპონურად – ღმერთების გზა), რომლის საწყისი ფორმა მაგიის, შამანიზმის, ანიმიზმისა და ფეტიშიზმის სინთეზის საფუძველზე აღმოცენდა. შინტოიზმში უმთავრესი იყო წინაპართა სულების (კამეების), ბუნების ძალები

ბისა და მოვლენების თაყვანისცემა. საზგასასმელია, რომ შინტოიზმმა, როგორც ეროვნულმა იდეოლოგიამ, განმსაზღვრელი როლი შეასრულა იაპონელთა მენტალური თვისებების, ტრადიციებისა და ადათ-წესების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში, ასევე ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ განვითარებაში მთლიანად.

ადრეული შინტოიზმის მორალურ-ეთიკური ნორმებისა და წეს-ჩვეულებების შემდგომ განვითარებაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს ინდურმა და ჩინურმა ფილოსოფიურ-რელიგიურმა მოძღვრებებმა (ბუდიზმმა, კონფუციანიზმმა, ტაოიზმმა). ასე რომ, ადრეული შუა საუკუნეების იაპონიის ოფიციალური იდეოლოგია როგორც ადგილობრივი, ისე გარედან შეღწეული დოქტრინებისა და რწმენა-წარმოდგენების რთულ კონგლომერატს წარმოადგენდა.

## **ელენე გეგეშიძე**

### **იუდაიზმი და საქართველო**

თანამედროვე რელიგიებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იუდაიზმი, მისი წარმოშობა ჯერ კიდევ შორეულ წარსულს უკავშირდება: იუდაიზმის რელიგიური შეხედულებანი ძვ. წ. II ათასწლეულში შექმნეს ებრაელმა ტომებმა. დღეისათვის „იუდაიზმის“ სახელწოდებით ცნობილია ებრაული ტრადიციული სარწმუნოება. როგორც რელიგია, იგი ჩანასახოვანი ფორმით ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების დროს შეიქმნა. ეს ის პერიოდია, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა საზოგადოების კლასებად დაყოფა და იგი მუდმივად განიცდიდა ცვალებადობას, საზოგადოებრივ პროგრესთან ერთად.

მას შემდეგ, რაც ებრაელი ხალხი დასახლდა პალესტინაში და ებრაელთა ტომები გაერთიანდნენ იუდას ტომის ხელმძღვანელობით, თანდათანობით ერთღმერთიანობამ მოიკიდა ფეხი.

მრავალმერტიანობიდან ერთმერტიანობაზე გადასვლას ხელი შეუწყო იმან, რომ პალესტინაში შეიქმნა ახალი მონათმფლობელური იუდეა – ისრაელის სახელმწიფო, რომლის სათავეში იყო ერთმპყრობელი მონარქი. იუდაიზმი თანდათანობით ღრმად დამკვიდრდა. მას ძველ საქართველოში „ჭურიათა სჯულად“, „მოსეს სჯულადაც“ მოიხსენიებდნენ. ახალ ქართულში შეიცვალა დამოკიდებულება იუდაიზმისადმი და მას უკვე ხშირად ებრაელთა სჯულის სახელით მოიხსენიებდნენ.

ებრაული იუდაიზმი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთ მოვლენად, რომელსაც არ განუცდია გავლენა სხვა რელიგიებისა. პალესტინაში მოსვლის დღიდან ებრაული რელიგია განიცდიდა ქანაანელთა რელიგიის გავლენას, შემდეგში კი მასზე იმოქმედა ასირიულ-ბაბილონურმა კულტურამ. იუდაიზმმა გარკვეული გავლენა განიცადა ბერძნული ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან. სწორედ ბერძნული ფილოსოფიის გავლენით მივიდა იუდაიზმი ერთიანი ღმერთის და ადამიანის უკვდავი სულის იდეამდე.

იუდაიზმი ის რელიგიაა, რომლის ყველა მიმდევარი ერთმანეთის ძმავა. ამ რელიგიის მიხედვით, ებრაელი ხალხი „რჩეულია“, „სწორედ ამ იდეაზე აღმოცენდა სიონიზმი, როგორც ნაციონალისტური მიმდინარეობა. მან განსაზღვრა ებრაელი ხალხის ბედი თანამედროვე მსოფლიოში. მათ შორის საქართველოშიც“. ებრაელებმა საქართველოში, სხვა ქვეყნების მსგავსად, მოიტანეს ბიბლია (ძველი აღთქმა, თანახი) და, შესაბამისად, იდეა მონოთეიზმისა. ისინი საქართველოში, ძირითადად, ვაჭრობითა და მოგზაურობით ირჩენდნენ თავს. გაჰქონდათ, რაც გასატანი იყო და შემოჰქონდათ, რაც შემოსატანი იყო. ეს პროცესი ხელს უწყობდა საგარეო პოლიტიკის განვითარებას და ადგილობრივი კულტურის მრავალფეროვნებას.

## **ანა გოგუაძე**

### **იდიომატური გამოთქმების თარგმნა ჩინურიდან ქართულ ენაზე**

თარგმანში ორიგინალი ვერსიის წერის სტილი ოპტიმალურად უნდა იყოს დაცული. ეს რთულია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლიტერატურულ ნაწარმოებებში უხვად არის გამოყენებული იდიომატური გამოთქმები. ჩინურ ტექსტებში ხშირად გვხვდება იდიომატური გამოთქმები (იგივე ჩენგიუ). ამ კვლევაში ჩინური იდიომატური გამოთქმების ქართულ ენაზე თარგმნის მეთოდები და პრინციპები არის განხილული. სხვადასხვა იდიომატური გამოთქმების შედარებისა და დაკვირვების საფუძველზე, მათი მახასიათებლებისა და კულტურული სხვაობების ანალიზის მეშვეობით კვლევა შეისწავლის იდიომების თარგმნის სტრატეგიებს, თუ რა სახის მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევებში, რათა უკეთ გადმოიცეს იდიომების აზრი ლიტერატურული ნაწარმოების კონტექსტში.

## **სოფიო გუგუნავა**

### **მედიაცია იაპონიაში როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზა**

როდესაც იაპონურ მხარეს უჭირს დავის გადაჭრა, ამ შემთხვევაში ისინი მიმართავენ ყველასთვის ცნობილ სამ ხერხს: სამართალწარმოებას, არბიტრაჟს ან მედიაციას. იაპონიაში მედიაცია საკმაოდ პოპულარობით სარგებლობს. იაპონელი ხალხი მას 1922 წლიდან მიმართავს, მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაანწესა „მინისა და მშენებლობის იჯარის საშუამავლო სისტემა“, რათა გადაეწყვიტათ ამ საკითხთან დაკავშირებული დიდი რაოდენობით არსებული დავები, რაც გამონვეული იყო

ქალაქში მოსახლეობის რაოდენობის სწრაფი ზრდის გამო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დავის ალტერნატიული გადაჭრის არაერთი ინსტიტუცია დაარსდა. აქედან ორი – „შრომითი ურთიერთობების ცენტრალური კომისია („როდუ იინკაი“) და „სამშენებლო დავების ცენტრალური კომიტეტი“ – დღემდე აღიარებული და წარმატებულია.

დღესდღეობით იაპონია განცდის მედიაციის ახალი ინსტიტუტის შექმნის საჭიროებას. 2011 წლის მარტში, ფუკუშიმას სადგურის აფეთქების შემდეგ, იაპონიის მთავრობამ დააარსა „ბირთვული ზიანის ანაზღაურების შესახებ დავის გადაჭრის საბჭო“. ამ საბჭოს თანახმად, ბირთვული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით 5 890 საჩივარი შევიდა, რომლიდანაც მედიაციის საშუალებით 2 063 მოგვარებულია, 373 შეჩერებული, ხოლო 486 საქმე ამოღებულია განხილვიდან.

## **თეა გოგოლიშვილი**

### **ჩინური ქრისტიანობის ისტორიის ერთი კონკრეტული ასპექტი**

ჩინეთის ისტორია მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისაგან შედგება. ბუდზმმა და კონფუციანელობამ დიდი გავლენა მოახდინა ჩინელი ხალხის იდენტობის ჩამოყალიბებაზე, თუმცა აქვე საინტერესოა, თვალი მივადევნოთ ქრისტიანობის ისტორიას ჩინეთში.

საკმაოდ მცირე ცნობები გვაქვს იმის შესახებ, თუ როდის და როგორ გავრცელდა ქრისტიანობა ჩინეთში. ინდოეთში, მაღაბარის ეკლესიის აღაპებში, დაცულია ცნობა, რომ ქრისტიანობა პირველად თომა მოციქულმა იქადაგა ჩინეთში. ამავე აზრს იზიარებდნენ XVII საუკუნეში ჩინეთში მოღვაწე იეზუიტები და ევროპელი სწავლულები, როცა 1623 (ან 1625) წელს ჩინეთში აღმოაჩინეს VIII საუკუნის ნესტორიანული სტელა.



მაგრამ სამაგიეროდ დუმს ჩინური წყაროები. არცერთი ჩინური წყარო ამ პერიოდისა არანაირ ცნობას არ გვანვდის, დავასკვნათ, რომ ჩინელებმა იცოდნენ ქრისტიანობის შესახებ. სხვაგვარად ფიქრობს ერთ-ერთი ფრანგი ისტორიკოსი პიერ პერიერი. ის ეყრდნობა ბუდიზმის ჩინეთში გავრცელების ლეგენდისა და ლიენიუნკანგის (连云港) მაზრაში არსებულ კლდეში გამოკვეთილი ქანდაკებების კომპლექსიდან სამი ქანდაკების მნიშვნელობის თავისებურ ინტერპრეტაციას.

უპირველეს ყოვლისა, ავხსნათ ჩინეთში ბუდიზმის გავრცელების ლეგენდის არსი. ამ ლეგენდის მიხედვით, აღმოსავლეთის სახანოს (东汉 25-220) დინასტიის იმპერატორ მინგს (明帝 – 57-75) დაესიზმრა მფრინავი კაცი, რომელიც შარავანდით იყო მოსილი. მან სწავლულებს ჰკითხა: ვინ შეიძლება, ყოფილიყო სიზმარში ნანახი პიროვნება. სწავლულების აზრით, იმპერატორი სიზმარში ბუდა შაკიამუნის შეხვდა. იმპერატორმა ინდოეთში გაგზავნა დელეგაცია, რომელსაც უკან ჩამოჰყვა ორი ბუდისტი ბერი თეთრ ცხენზე გადაკიდებული 42 ბუდისტური ხელნაწერით. იმპერატორმა მათ გამოჰკითხა ბუდიზმზე დნება მისცა, დედაქალაქ ლოიანგში (洛阳) აეშენებინათ ტაძარი, რომელსაც თეთრი ცხენის ტაძარი ეწოდა (白马) (14). პერიერის მიხედვით, ეს ლეგენდა მიემართება არა ბუდიზმს, არამედ ქრისტიანობას. ამის მტკიცებულებად მას მოჰყავს მანუსკრიპტების რიცხვი – 42. ამდენი წიგნი დაჰქონდათ მოციქულებს ქადაგებისას (ახალი და ძველი აღთქმის წიგნები). ასევე, თეთრი ცხენის ტაძარი განლაგებული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, ქრისტიანული ტაძრების მსგავსად. მაშინ, როცა ჩინეთში შემდეგ პერიოდებში აგებული პაგოდები ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა მიმართული.

## ნათია დემურიშვილი

### ჩინური ფაიფური ირანის სამეფო კოლექციებიდან

საქართველოს მუზეუმის აღმოსავლურ კოლექციებში დაცული ჩინური ფაიფურის მდიდარი კოლექციიდან ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ირანის სამეფო ოჯახისათვის დამზადებული ჩინური საექსპორტო ფაიფური, რომელიც გარდა მხატვრული ღირებულებისა, ისტორიული მნიშვნელობით იქცევს ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას.

კოლექციის განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს სეფიანთა დინასტიის ყველაზე სახელგანთქმული წარმომადგენლის, შაჰ-აბას პირველის (1571-1629), პირადი კოლექცია, რომელიც მან სეფიანური ირანის რელიგიურ-იდეოლოგიურ ცენტრს, არდებლის მეჩეთს შესწირა. ამ კოლექციის 2 ნივთზე შაჰის პირადი დამლა: „ბანდე-იე ველაიათ აბბას ბარ ასთანე იე შაჰ სეფი ვაკუე ნამუდ“/„სინმინდის ხელმწიფის მონამ აბასმა შაჰ სეფის ზღურბლს ვაკვად შესწირა“.

სახელობითი ნივთებიდან ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ირანის მმართველი ყაჯართა დინასტიის (1789 – 1925) სამეფო ოჯახის წევრების დაკვეთით ჩინეთში დამზადებული ფაიფურის ჭურჭელი, სამი თასი და ერთი თეფში, რომელიც, სავარაუდოდ, 3 განსხვავებული სერვიზის ნაწილს წარმოადგენს.

სამ არტეფაქტზე დამკვეთ პირად მოხსენიებულია მასუდ მირზა ზელლ-ე სულტანი, ყაჯართა დინასტიის რიგით მეოთხე მონარქის, ნასერ ად-დინ შაჰის (ირანის შაჰი 1848 – 1896 წწ.) უფროსი ვაჟი, ხოლო მეოთხე, ზომით ყველაზე დიდ თასზე მოხსენიებულია უშუალოდ ირანის შაჰი, მონარქი – რეფორმატორი, სახელგანთქმული ნასერ ად-დინი და, რაც მთავარია, ამ უკანასკნელ ნივთს, წარწერის გარდა, ამშვენებს თავად შაჰის და მისი ვაჟების: ზელლ-ე სულთნისა და მოზაფარ ალ-დინ მირზას (შემდგომში – მოზაფარ ალ-დინ შაჰი; მმართველობის წწ. 1896-1907 ) პორტრეტები.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ეს უნიკალური ნივთები საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ არა მხოლოდ ჩინური ფაიფურის მხატვრულ ღირსებებზე, რაც საყოველთაოდ აღიარებულია, არამედ ირან-ჩინეთის სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობებზეც, რასაც ძალზე საინტერესო და ხანგრძლივი ისტორია აქვს; აქვე დავსძენთ, რომ ასეთი მდიდარი და საინტერესო აღმოსავლური კოლექციების არსებობა საქართველოში კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოსა და აღმოსავლეთის ქვეყნების მჭიდრო ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებსაც, რაზეც უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მეტი ინერება როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო პუბლიკაციებში.

## **თათია მემარნიშვილი**

### **თანამედროვე მეთოდები იაპონური ენის სწავლებაში**

იაპონური ენა საკმაოდ რთულია შესასწავლად. შესწავლას ასევე ართულებს ის ფაქტიც, რომ არ შეგვიძლია ანალოგიების მოყვანა, სხვა ენასთან შედარების გაკეთება. აქამდე არსებული მეთოდებით იაპონური ენის შესწავლისას, ძირითადად, აქცენტი კეთდებოდა დამწერლობაზე, იეროგლიფების მაქსიმალურ რაოდენობაზე, რითაც, მართალია, სიტყვათა მარაგი იზრდებოდა, მაგრამ არ იყო საკმარისი ნებისმიერ თემაზე თავისუფლად საუბრისათვის. არადა ენის შესწავლის პირველი მიზეზი და მიზანი ამ ენაზე კომუნიკაციაა. სწორედ ამ საკითხით დაინტერესდა იაპონური ენის კვლევითი ინსტიტუტი ურავაში და მრავალწლიანი მუშაობის შედეგად სრულიად ახალი მეთოდი შემოგვთავაზა: კომუნიკაციაზე დამყარებული ენის შესწავლის მეთოდი, სადაც გაკვეთილის მსვლელობისას მასწავლებლის როლი არის მინიმუმამდე დაყვანილი. ამ მეთოდით სწავლისას, პირველ რიგში, ვითარდება მოსწავლის ორალური უნარები და

პირველი თვეებიდანვე ინგრევა ენობრივი ბარიერი. ბრიტანელებსაც აქვთ მსგავსი მეთოდი, რომელსაც ქალანის მეთოდს ეძახიან და ის ეფუძნება მთლიანად მოსმენა-გამეორებას. როგორც პატარა ბავშვისთვის, რომელიც ენას იდგამს, უცხოა გრამატიკული წესები, მაგრამ ის მაინც ხვდება ინტუიციით, რაზეა საუბარი, რა რას ნიშნავს და, ბოლოს, ახერხებს ლაპარაკს; ასევე უნდა იყოს უფროსისთვისაც ახალი ენის შესწავლა: მთლიანად ინტუიციასა და მრავალჯერ მოსმენა-გამეორებაზე დამყარებული.

## **სალომე სუხიაშვილი**

### **„სხვა სამყარო“ იაპონურ და კავკასიურ ფოლკლორში**

ფოლკლორისტიკაში ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხია ხალხური ნაწარმოების სივრცის თემა. ეპიკური ჟანრის ტექსტებში ძირითადი მოქმედებები ხდება ადამიანთა ჩვეულებრივი საცხოვრისიდან შორს, ე. წ. „სხვა სამყაროში“.

ნაშრომში განხილულია იაპონური და კავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვიერების ის ნიმუშები, რომლებშიც აისახა „სხვა ქვეყანა“ და „მიღმური სამყაროს“ ბინადართა ცხოვრება. ფოლკლორულ შემოქმედებაში „სხვა სამყაროს“ თემა იმდენად პოპულარული აღმოჩნდა, რომ მან შეაღწია როგორც მწერლობაში, ასევე ფილმოგრაფიაშიც. ამ მხრივ გამოირჩევა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები, რომლებიც ამ თემაზე ქმნიან მანგებს, ე.წ. კომიქსებსა და ანიმაციურ ფილმებს – „ანიმეებს.“

## მარინე ლუდუშაური

### სამხრეთ კორეის ეკონომიკური განვითარების თავისებურებები

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კი XX ს-ის შუა ხანებში, მიმდინარე მოვლენებმა მსოფლიოში უამრავ ცვლილებას მისცა ბიძგი. ეს ცვლილებები თითქმის მთელ მსოფლიოს შეეხო, განსაკუთრებული გავლენა კი აღმოსავლეთ აზიას შეეხო, სადაც ერთმანეთის გვერდით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეჟიმები ჩამოყალიბდა. ამ პროცესებში ყურადღებას იქცევს სამხრეთი კორეა, რომელმაც შედარებით მოკლე დროში შეძლო უღარიბესი ქვეყნიდან აზიისა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნად ჩამოყალიბებულიყო.

სამხრეთი კორეა დამოუკიდებლად 1948 წლიდან არსებობს. ამ პერიოდიდან კორეა ორ ნაწილად გაიყო – კომუნისტური ჩრდილოეთი და ამერიკელების მიერ კონტროლირებადი სამხრეთი. გასული საუკუნის 50-იანი წლებისთვის კორეა იყო უფრო ღარიბი ქვეყანა, ვიდრე აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ევროპის ქვეყნებზე. სამხრეთ კორეის სწრაფი აღმავლობა მნიშვნელოვნად განაპირობა აშშ-ის მიერ გაწეულმა დახმარებამ, რომლისთვისაც სამხრეთ კორეის დახმარება, კომუნისტური საფრთხეებიდან გამომდინარე, პრიორიტეტული იყო. მაგალითად, 1946–1978 წლებში მხოლოდ ამერიკამ 60 მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარება გაუწია სამხრეთ კორეას გრანტებისა და კრედიტის სახით. მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი ფაქტორისა, ფაქტია, რომ ელვისებური ეკონომიკური აღმასვლა მიღწეულ იქნა სახელმწიფოს მიერ ცენტრალიზებული მართვის მეოხებით, რომლის მიხედვითაც უპირატესობა მიენიჭა არა ვინრო პოლიტიკურ ან ბიზნესის ინტერესებს, არამედ ეროვნულ ინტერესებს. კორეული ეკონომიკური განვითარება იყო არა მხოლოდ სწრაფი, არამედ მდგრადი და ინკლუზიური, ანუ საბოლოო სარგე-

ბელი გათვლილი იყო ფართო საზოგადოებისთვის და არა საზოგადოების ვიწრო ჯგუფში შემავალი ცალკეული ინდივიდებისთვის.

სამხრეთ კორეის ეკონომიკური სასწაული დღეისთვის უკვე რეალობაა, თუმცა ეკონომიკურ ზრდას პრობლემების გარეშე არ ჩაუვლია. ქვეყანას მართავდნენ ავტორიტარული რეჟიმები, იყო კორუფცია და ირღვეოდა ადამიანის უფლებები. ამჟამად, დამოუკიდებლობიდან შვიდი ათეული წლის შემდეგ, ამ ქვეყანაში მზარდი ეკონომიკა და დემოკრატიული პრინციპები უკვე რეალურად თანაარსებობენ.

## **მარინა ფუთურიძე**

### **ქ. კიოტოს საერთაშორისო კონგრესი და პირველი შეხება იაპონურ კულტურულ ტრადიციასთან**

2019 წლის 2–6 ოქტომბერს ქართველი მეცნიერები ვმონაწილეობდით იაპონიის ისტორიულ ქალაქ ქ. კიოტოში, კიოტო-სანიოს უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონგრესში – „აღმოსავლეთ-დასავლეთი: კულტურათა ურთიერთკვეთა“. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგისადმი მიძღვნილ ამ ფორუმზე ჩვენ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორმა მ. ფუთურიძემ და თანაავტორმა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სახ. ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა ნ. ახვლედიანმა – პირველად წარვადგინეთ ინტერდისციპლინური კვლევისადმი მიძღვნილი მოხსენება „ძვ.წ. მე-2 ათასწლეულის კოლხეთის ძეგლების ინტერდისციპლინური კვლევა: ლინგვისტურ-არქეოლოგიური ანალიზი“, რომელმაც ამ დარგში მომუშავე მკვლევართა ყურადღება და დადებითი გამოხმაურება დაიმსახურა. ამავე დროს, ეს ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმიტაც, რომ ეს იყო ქართველ მეცნიერთა პირველი უშუალო შეხება იაპონიის მდიდარ კულტურულ ტრადიცი-

ებთან, რამაც შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ტრადიციებით მდიდარი რეგიონის უკეთ გაცნობის შესაძლებლობა მოგვცა.

## **ლეილა ხუბაშვილი**

### **იაპონიის პანაზიური დოქტრინა XX საუკუნის 30-იან წლებში. ტანაკას მემორანდუმი**

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიამ წყნარ ოკეანეში გერმანიისთვის ჩამორთმეული ტერიტორიების ხარჯზე მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი ქვეყნის საზღვრები და მიუახლოვდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიას, რითაც საფრთხის ქვეშ დააყენა აშშ-ინგლისის კომუნიკაციები მათ კოლონიებსა და ჩინეთთან. იაპონიის ექსპანსიური პოლიტიკა და სწრაფვა მთელ აღმოსავლეთ აზიაში ბატონობაზე იაპონურმა იდეოლოგიამ ჩამოაყალიბა ე.წ. „პანაზიურ დოქტრინაში“, რომლის მთავარი სლოგანი იყო: „აზია აზიელებისათვის“, მონროს დოქტრინის საპირისპიროდ. იაპონური პანაზიური დოქტრინა განსაკუთრებით პოპულარული იყო მაღალ სამხედრო წრეებში, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ იაპონიას უნდა დაეწყო „რასობრივი ომი ფერადკანიანთა ემანსიპაციისათვის“. ეს დოქტრინა არა მარტო პროპაგანდირებული იყო პრესის მიერ მთელ იაპონიაში, არამედ მას ასწავლიდნენ საბავშვო ბაღებსა და სასკოლო გამოცემებში.

გენერალ ტანაკას მოსვლის შემდეგ ხელისუფლებაში იაპონიის ექსპანსიური საგარეო პოლიტიკა დეტალურად დაიგეგმა ე.წ. „ტანაკას მემორანდუმში“. მასში ჩამოყალიბდა იდეა იაპონური რასის ბატონობისა მთელ აზიურ კონტინენტზე და წყნარ ოკეანეში. პარალელურად დიპლომატიური საქმიანობის გაძლიერებას იაპონია ფარავდა კამპანიით „წითელი საფრთხისა“, რომელიც ჩინეთს ემუქრებოდა. იაპონურ პრესაში იბეჭდებოდა სტატიები ასეთი სათაურებით: „ჩინეთის არსებობა

ბენჯზე ჰკიდია“, „5 წლის შემდეგ ჩინელი ერი გაქრება“, „საბჭოთა საფრთხე ისეთ მასშტაბებს იღებს, რომ, თუ იაპონია მუკდენტან არ მიაღწევს შეთანხმებას, შედეგები იქნება საბედისწერო ორივე ერისათვის“. ტანაკას მემორანდუმი 1931 წლის სექტემბერში დაიბეჭდა ჟურნალ „China Critic“-ში, საიდანაც მთელ მსოფლიოში გავრცელდა. 1935 წელს, როცა ევროპაში უკვე ახალი ომის სუნი ტრიალებდა, იაპონელმა გენერალმა ტადამ გამოაქვეყნა პოლიტიკური თეზისები, რომელიც სასიგნალო რაკეტა აღმოჩნდა; ჩრდილოეთ ჩინეთში დაიწყო გამოსვლები ლოზუნგებით: „აზიური რასა უნდა გაერთიანდეს“, „ჩრდილოეთ ჩინეთის დამოუკიდებლობა“, „კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა“ და ა.შ. იაპონიის ასეთმა აგრესიულმა პოლიტიკამ აშშ აიძულა, თავისი სტრატეგიული პოზიციები გაემყარებინა წყნარ ოკეანეში. ამგვარად, იაპონიის მოქმედება აღმოსავლეთ აზიასა და წყნარ ოკეანეში იმავე გეგმით ვითარდებოდა, როგორც ევროპაში გერმანიასა და იტალიას ჰქონდათ. ორ მსოფლიო ომს შორის მანძილი სულ უფრო მცირდებოდა. ეს იყო ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის საბოლოო კრაზი.





